ვინც ტყუილზე დაფიცებით მუსლიმი ადამიანის უფლებას მიითვისებს, ჭეშმარიტად ალლაჰმა მისთვის სავალდებულო გახადა ჯოჯოხეთი და აუკრძალა სამოთხე», ერთმა კაცმა მას ჰკითხა: ო ალლაჰის შუამავალო, ძალიან უმნიშვნელო რამეც რომ იყოს? მან თქვა: «თუნდაც იყოს პატარა ჯოხი არაქის ხიდან

აბუ უმამა იას იბნ სა'ლაბა ალ-ჰარისი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც ტყუილზე დაფიცებით მუსლიმი ადამიანის უფლებას მიითვისებს, ჭეშმარიტად ალლაჰმა მისთვის სავალდებულო გახადა ჯოჯოხეთი და აუკრძალა სამოთხე», ერთმა კაცმა მას ჰკითხა: ო ალლაჰის შუამავალო, ძალიან უმნიშვნელო რამეც რომ იყოს? მან თქვა: «თუნდაც იყოს პატარა ჯოხი არაქის ხიდან».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა ალლაჰის სახელზე ტყუილზე დაფიცებისგან და მითუმეტეს თუ იქნება ეს მუსლიმი ადამიანის უფლების მითვისებაზე, ამის სასჯელი იქნება რომ ის დაიმსახურებს ცეცხლს, და დაკარგავს სამოთხეს, და ეს არის დიდი ცოდვებიდან. ერთმა კაცმა მას ჰკითხა: ო ალლაჰის შუამავალო, დაფიცებული რომ ძალიან მცირე რამ იყოს? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) თქვა: თუნდაც იყოს ერთი სივაქის ჯოხი, რომელსაც არაქის ხიდან იღებენ.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5430